მობილური ოპერატორების მონაცემებზე პირდაპირი წვდომის საკითხზე პოლიტიკური გადაწყვეტილება უახლოეს პერიოდში უნდა იქნას მიღებული

31 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა პირველად გამოიყენა კონსტუტუციით მინიჭებული ვეტოს უფლება და მოტივირებული შენიშვნებით პარლამენტს უკან დაუბრუნა Ď□□□□□□□□□□□ კომუნიკაციების შესახებ □ კანონში წინა დღით მიღებული ცვლილებები.

კამპანიის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები მივესალმებით საქართველოს პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილებას. პრეზიდენტმა ცვლილებაზე ვეტოს დადებისას განაცხადა, რომ Ď□□□□□ საზოგადოებაში ამ საკითხთან დაკავშირებით არის კონსენსუსი და ჩამოყალიბებული მტკიცე პოზიცია. ჩვენ უნდა გადავიდეთ სპეცსამსახურების ფუნქციონირების თანამედროვე დემოკრატიულ ფორმაზე. □ პრეზიდენტის მოსაზრებით, უარი უნდა ითქვას წლების განმავლობაში ხელისუფლების მიერ დამკვიდრებული ტოტალური და უკონტროლო მიყურადების პრაქტიკაზე. 31 ოქტომბერს პარლამენტმა პრეზიდენტის წინადადებას მხარი დაუჭირა, და მიღებული ცვლილების თანახმად, 2015 წლის 1 მარტის ნაცვლად, ფარულ მოსმენებზე პირდაპირი წვდომის საკითხი 2014 წლის 1 დეკემბრამდე უნდა გადაწყდეს.

აღნიშნული ვითარების გათვალისწინებით, კამპანიაში Ď□□ შენ გეხება □ ისევ გვისმენენ □ მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს და პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ დავით უსუფაშვილს, უმოკლეს ვადებში ორგანიზება გაუკეთოს საპარლამენტო სამუშაო ჯგუფის შეხვედრას. ამასთან, აუცილებელია, ქვეყნის მმართველ შტოებს შორის უახლოეს პერიოდში დიალოგის დაწყება, რათა ხლისუფლებამ დროულად მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილება სამართალდამცავი უწყებების მიერ

მოქალაქეთა პირად ინფორმაციაზე წვდომასთან დაკავშირებულ საკითხზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ავღმოჩნდებით იგივე მოცემულობის წინაშე, როდესაც დადგენილი ვადის ამოწურვამდე კვლავ ვერ მოესწრება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება.

ვფიქრობთ, რომ ადამიანის სამოქალაქო უფლებების დაცვის გარანტიების შექმნის გარეშე საქართველოს ვერ ექნება პრეტენზია ცივილიზებულ და დემოკრატიულ სახელმწიფოზე, რაც ამ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას ნებისმიერმა პოლიტიკოსმა უნდა გაითვალისწინოს.